**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის**

**ეთიკის კომისიის**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე**

**პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ნ. გ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 16.06.2020

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 047/20

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ მ. ჩ.-ს მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ მ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 23 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით 2009 წლის 26 აპრილს ს. ე.-ს ქუჩაზე, სამაუწყებლო კომპანია „რ. X-ის“ კუთვნილი შენობის ჩამონგრევის შედეგად, გარდაიცვალა მისი შვილი ნ. გ.. აღნიშნული ფაქტის გამოძიების დროს მოხდა ფაქტების გაყალბება. შენობის მშენებლობის დროს დაშვებული შეცდომა თავის თავზე აიღო მშენებელმა დ. გ.-მ. 2009 წლის 12 ნოემბერს შედგა სასამართლო პროცესი, სადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენით დაკმაყოფილდა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორის შუამდგომლობა და დამტკიცდა პროკურორსა და ბრალდებულ გ.-ს შორის დადებული საპროცესო

შეთანხმება. ბრალდებული საპროცესო გარიგების საფუძველზე გირაოს გარეშე სასამართლო დარბაზიდან გაანთავისუფლეს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მომხდარი დანაშაულის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება არაობიექტურად ჩატარდა, ასევე უსამართლო იყო საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რის გამოც 2011 წლის 28 მარტს ნ. გ.-მ საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. სასამართლოში გასაგზავნი მასალები მოამზადეს მისმა ადვოკატებმა მ. ჩ.-მ და გ. მ.-მ. ნ. გ.-მ ადვოკატები გააფრთხილა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის კანონით დადგენილ ვადაში მიემართათ და საჩივრის შეტანის ვადა არ გაეშვათ, რაზედაც ადვოკატებმა დაამშვიდეს და უთხრეს, რომ დროულად წარადგენდნენ საჩივარს. 2014 წელს ნ. გ.-მ შემთხვევით გაიგო, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უარი უთხრა საჩივრის მიღებაზე. აღნიშნული პასუხი საჩივრის ავტორმა მიუტანა ადვოკატ გ. მ.-ს. ადვოკატი დაჰპირდა, რომ პასუხს გადაათარგმნინებდა და შეატყობინებდა. მიუხედავად ამისა, ადვოკატები მას არ დაუკავშირდნენ და ასევე არ პასუხობენ მის ზარებს. საჩივრის ავტორს გონივრული ეჭვი აქვს, რომ ადვოკატები გ. მ. და მ. ჩ. გადაიბირეს სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა, რის გამოც მათ გაუშვეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დადგენილი საჩივრის შეტანის ვადა.

1.4 საჩივრის ავტორისთვის ცნობილია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადის თაობაზე, თუმცა სურს ეთიკის კომისიამ შეაფასოს ადვოკატ მ. ჩ.-ს მოქმედებები და ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით მას აეკრძალოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმომადგენლობა.

## 2. ადვოკატის პოზიცია

2.1 2020 წლის 30 ივნისს ადვოკატებმა მ. ჩ.-მ და  გ. მ.-მ ერთობლივად წარმოადგინეს ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითეს, რომ საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვა განახორციელეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სრული დაცვით და მიიჩნევენ, რომ დისციპლინურმა კოლეგიამ უნდა შეწყვიტოს დისციპლინური წარმოება, რადგან საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე გასულია ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებით გათვალისწინებული 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა.

2.2 ადვოკატების განმარტებით, პრეტენზია, რომელიც ეხება საჩივარში მითითებულ პირებთან კავშირს, რის გამოც არ დადგა საჩივრის ავტორისთვის სასურველი შედეგი, არის უსაფუძვლო, ვინაიდან ადვოკატებს გ. მ.-სა და მ. ჩ.-ს არ გააჩნია რაიმე სახის კავშირი მათთან. საადვოკატო საქმიანობის განხორციელების დროს ისინი მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, ყოველგვარი გავლენისა და ზეწოლის გარეშე.

2.3 ადვოკატები ასევე მიუთითებენ, რომ საქმის წარმოების დროს ასრულებდნენ კლიენტის კანონშესაბამის მითითებებს და მოქმედებდნენ მასთან შეთანხმებით. შესაბამისად, არ ყოფილა არცერთი ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც კონკრეტულ საქმეში უცნობი იყო კლიენტისთვის.

2.4 ადვოკატების განმარტებით, ნ. გ.-ს არ აქვს წარმოდგენილი სტრასბურგის სასამართლოდან მიღებული გადაწყვეტილება, თუ რა გახდა საჩივრის წარმოებაში მიუღებლობის საფუძველი. აღნიშნულის გამო, ადვოკატები მოკლებული არიან შესაძლებლობას ამ საკითხზე დააფიქსირონ სამართლებრივი პოზიცია. რაც შეეხება გასაჩივრების ვადებზე მითითებას, კერძოდ სასამართლოში

საჩივრის დაგვიანებით წარდგენას, ადვოკატები აღნიშნავენ, რომ მათ სისხლის სამართლის საქმის მასალები გადაეცათ დაგვიანებით მხოლოდ სასამართლოსაგან და საქმის მასალების ასლების ეგზემპლარი გადაცემული იქნა განმცხადებლისთვისაც. საქმის მასალების მიღება მნიშვნელოვანი იყო დაზარალებული მხარისთვის, ვინაიდან სწორედ საქმის მასალებზე დაყრდნობით უნდა დაედგინათ მათ, სრულყოფილად განხორციელდა თუ არა გამოძიება.

2.5 ადვოკატების განმარტებით, საჩივრის ავტორს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის წარდგენაზე უარი უთხრა ა. ი. ა.-მ საქმის უპერსპექტივობიდან გამომდინარე. ადვოკატებმა კი ნ. გ.-ს განუმარტეს, რომ შიდა სამართლებრივი მექანიზმის ამოწურვის შემდეგ მიმართავდნენ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რაც ადვოკატების მიერ განხორციელდა. საჩივრის ავტორისთვის ადვოკატების მხრიდან ასევე ცნობილი იყო სტრასბურგის სასამართლოს მიდგომებზე, სასამართლოსადმი მიმართვის ხანდაზმულობის ვადებზე და იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სპეციფიკაზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარდა, საჩივრის ავტორს ადვოკატების ჩართულობით დახმარება გაეწია ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში; შპს „სამაუწყებლო კომპანია რ. X-ში"; შპს „ა. X-ში"; დ. გ.-ს წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარდგენილ ადმინისტრაციულ დავაში, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს ა. ი. ა. და ამ ორგანიზაციას წარმოადგენდა გ. მ..

## II სამოტივაციო ნაწილი

**3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი მ. ჩ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2020 წლის 16 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2011-2014 წლებში.

**4. შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. ჩ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ხანდაზმულობის საფუძვლით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 22.1(ა)).

**5. სამართლებრივი შეფასება:**

5.1 ყოველი კონკრეტული სადაო მოქმედების შეფასებისას მოწმდება საჩივრის შემოტანის ხანდაზმულობის ვადა.

5.2 ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2). ხანდაზმულობის ვადა აითვლება დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენისა და არა

საჩივრის ავტორისათვის ადვოკატის მხრიდან შესაძლო დარღვევის თაობაზე ინფორმაციის მიღების მომენტიდან.

5.3 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 22.1(ა)).

5.4 ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 16 ივნისს და თავადვე განმარტა, რომ ადვოკატებმა შესაძლო დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინეს 2011-2014 წლებში, რის თაობაზეც მისთვის ცნობილი გახდა 2014 წელს. შესაბამისად, ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვისას ნ. გ.-ს პრეტენზიები ადვოკატ მ. ჩ.-ს მიმართ ხანდაზმულია, ვინაიდან სადაო ქმედების ჩადენიდან ეთიკის კომისიისადმი მომართვისთვის დადგენილი ხანდაზმულობის 5 (ხუთ) წლიანი ვადა გასულია, რაც დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტის საფუძველია.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.2 მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების მე-19, 22.1(ა), 31, 40.1 მუხლებით  და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №047/20 ადვოკატ მ. ჩ.-ს მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/